ალლაჰი ხელით დაიჭერს (მთელ) დედამიწას და თავის მარჯვენა ხელით შეჰკრავს ცას, შემდეგ იტყვის: მე ვარ მეფე! სად არიან ამქვეყნიური მეფეები?

აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოვისმინე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ალლაჰი ხელით დაიჭერს (მთელ) დედამიწას და თავის მარჯვენა ხელით შეჰკრავს ცას, შემდეგ იტყვის: მე ვარ მეფე! სად არიან ამქვეყნიური მეფეები?»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ უზენაესი ალლაჰი შეკრებს და შეიპყრობს მიწას, დაკეცავს ზეცას თავის მარჯვენაში და შემოახვევს მათ ერთმანეთს, გაანადგურებს და გააქრობს მათ. შემდეგ იტყვის: მე ვარ მეფე, და სად არიან დედამიწის მეფეები?!

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65028